ეროვნული
ბიბლიოთეკა

# კულტგანყოფილება.

## დებულება ს. პ. კ. ს. კულტგანყოფილების შესახებ.

### ზოგადი დებულებანი.

§ 1. საქართველოს რაიონის კავშირებში დარაზმულ მუშათა შორის კულტურულ-განმანათლებელ მუშაობის გასაერთიანებლათ და სახელმძღვანელოთ ს. პ. კ. საბჭოსთან ეწყობა კულტგანყოფილება.

§ 2. კულტგანყოფილების მიზანია:

ა) კავშირის კულტურულ მუშაობის საერთო მიმართულების ხელმძღვანელობა და კოორდინაცია.

ბ) კულტურულ მუშაობისათვის სახელმძღვანელო შინაარსის შემუშავება უმაღლეს ორგანოების დირექტივებთან შეთანხმებით.

გ) სანგანკომის (სახალხო განათლების კომისარიატის) ორგანიზაციებში კავშირთა წარმომადგენლობის მოწყობა.

დ) სანგანკომის და პროსექციების წარმომადგენლებისთვის კულტურული მუშაობის მიზნების შემუშავება,

ე) მათ საქმიანობაზე კონტროლის დაარსება,

ვ) კულტურულ მოღვაწეობის იმ დარგებში მუშაობა, სადაც საჭიროა ცენტრალიზაცია და რომელთაც აქვთ საერთო პროფესიონალური მნიშვნელობა (მუშათა ფაკულტეტები, საინსტრუქტორო კურსები და სხვა).

§ 3. კულტგანყოფილების მუშაობა მიმდინარეობს შემდეგი მიმართულებით:

ა) მუშების პროფესიონალურ ტეხნიკურ განათლების დარგში,

ბ) მუშების და მათი ოჯახების საერთო განათლების დარგში,

გ) პროფესიონალურ მომუშავეთა მომზადების დარგში.

დ) მუშათა ფართო მასისთვის თეატრის, ხელოვნების, მუსიკის და ლიტერატურის გაცნობის და მათ შორის წარმოებითი აგიტაციის და პროპაგანდის დარგში.

### განყოფილების კონსტრუქცია.

§ 4. ამ მიზნების განსახორციელებლათ არსდება კულტგანყოფილების კოლეგია ხუთი პირისგან შემდგარი, რომლის სათავეში სდგას ს. პ. კ. ს. მიერ წამოყენებული პირი.

§ 5. ზემოაღნიშნულ მუშაობის მიმართულების თანახმათ კულტგანყოფილებასთან არსდება შემდეგი ქვეგანყოფილებანი:

ა) პროფესიონალურ-ტეხნიკური განათლების,

ბ) საერთო განათლების,

გ) პროფეს. მომუშავეთა მოსამზადებელი (კლუბები, სამკითხველოები, ექსპედიციები),

დ) საწარმოვო პროპაგანდის ბიურო.

§ 6. კულტგანყოფილების კოლეგიასთან, საწარმოვო კავშირების კულტგანყოფილებასთან კავშირის გასაბმელათ, ეწყობა პლენუმი, რომელშიაც შედის 1 წარმომადგენელი საწარმოვო კავშირიდან.

§ 7. პლენუმის სხდომები ხდება დრო-გამოშვებით, მაგრამ არა ნაკლებ ორისა თვეში.

**შენიშვნა I.** პლენუმის შემადგენლობა მუდმივია და არა ცვალებადი.

**შენიშვნა II.** პლენუმში მუდმივ წევრებათ შედიან დაინტერესებულ დაწესებულებათა წარმომადგენლები, რომელთა წარმომადგენლობას თვით პლენუმი აწესებს.

§ 9. მთელი საკავშირო კულტურული მუშაობა სწარმოებს ს. პ. კ. ს. კულტგანყოფილების მიერ დამტკიცებულ ხარჯთ-აღრიცხვით, საჭირო თანხას იძლევა სანგანკომის ორგანოები.

§ 10 ს. პ. კ. ს. არსებული კულტგანყოფილება ურდგენს ს. პ. კ. ს. პრეზიდიუმს ანგარიშს თავის წარსულ მოქმედების და მომავალ მუშაობის გეგმის შესახებ.

## საქართველოს პროფკავშირებთან არსებულ კულტგანყოფილების შესახებ.

1) კავშირში ან მის სარაიონო განყოფილებაში კულტურულ განმანათლებელი მუშაობა სწარმოებს, გამგეობიდან გამოყოფილ კულტგანყოფილების მიერ.

2) კავშირთან არსებული კულტგანყოფილების სათავეში სდგას გამგე—კავშირის გამგეობის ერთ-ერთი წევრი, რომელიც ს. პ. კ. ს. კულტგანყოფილების დირექტივების თანახმად და კავშირის გამგეობის დადგენილებით ხელმძღვანელობს კავშირის მთელ კულტურულ მუშაობას.

3) კავშირთან არსებული კულტგანყოფილება აწარმოებს მუშაობას თვით ან სანგანკომის ადგილობრივ ორგანოების საშვალებით, შემდეგი მიმართულებით:

ა) პროფეს.-ტეხნიკურ განათლების დარგში,

ბ) საზოგადო განათლების,

გ) საწარმოვო სამეურნეო აგიტაციის და პროპაგანდის და საერთოდ აგიტაციის მოწყობის.

4) ადგილებზე კულტურულ-განმანათლებელ მუშაობის საწარმოებლათ (ქარხნებსა და ფაბრიკებში) კულტგანყოფილებასთან არსდება განყოფილების პლენუმი, როგორც სათათბირო ორგანო, რომელშიაც შევა თითო წარმომადგენელი ფაბრიკის ქარხნის და სხვა კულტურულ-განმანათლებელ კომისიებისგან.

5) პლენუმის სხდომები ხდება ხანგამოშვებით, მაგრამ არა ნაკლებ ერთისა თვეში.

6) პლენუმის შემადგენლობა უნდა იყოს მუდმივი და არა ცვალებადი.

7) რომელიმე დარგის კულტურულ-განმანათლებელ მუშაობის გასაფართოებლათ კულტგანყოფილებასთან შეიძლება დაარსდეს შემდეგი კომისიები: პროფესიონალურ-ტეხნიკური განათლების, მუშათა ფაკულტეტების გახსნის და მოღვაწეობის დამხმარე, წერაკითხვის გამავრცელებელი, საწარმოვო პროპაგანდის და აგიტაციის, ბიბლიოთეკის, კლუბის, სათეატრო და სხვა.

**შენიშვნა.** კომისიაში შეიძლება შევიდეს არა მარტო კავშირის პლენუმის წევრები, არამედ კოოპტაციის საშვალებით, შეიძლება მოწვეულ იქნეს რომელიმე დარგში მუშაობის მსურველი და მცოდნე პირიც.

8) კავშირის კულტურულ მუშაობის გასაერთიანებლათ, საჭიროებისამებრ, შეიძლება მოწვეულ იქნას თათბირი სხვა და სხვა ორგანიზაციების, შკოლების, ბიბლიოთეკების, კლუბის საბჭოების,— კომუნის. ახალგაზ. კავშირის, მუშა ქალთა განყოფილების და სხვა.

9) კულტგანყოფილებას შეჰყავს თავის წარმომადგენელი ს. პ. კ. ს. კულტგანყოფილებაში, რომლის საშუალებით ის ატარებს სანგანკომში, თავის ხარჯთ-აღრიცხვას და სამუშაო გეგმას.

10) სანგანკომის და მისი ორგანოების დადგენილებანი სავალდებულოა კულტგანყოფილებისთვის, თუ ისინი არ ეწინააღმდეგებიან ს. პ. კ. ს. კულტგანყოფილებათა დადგენილებებს, თუ გაუგებრობა იქნა, საკითხი გადაეცემა ს. პ. კ. ს. კულტგანყოფილებას და სანგანკომის სათანადო განყოფილებას.

11) მთელი კულტურული მუშაობა სწარმოებს სანგანკომის მიერ კულტგანყოფილების ხარჯთ-აღრიცხვით.

12) კულტგანყოფილებანი დახარჯულ თანხის ანგარიშს აძლევენ სანგანკომს, ანგარიშების ასლი ეგზავნება ს. პ. კ. ც. ს. კულტგანყოფილებას.

13) ყოველი 2 კვირის შემდეგ კავშირის კულტგანყოფილება უგზავნის ს. პ. კ. ს. კულტგანყოფილებას მისი წარსული მუშაობის ანგარიშს და მომავალ სამოქმედო გეგმას.

ს. პ. კ. ს. მდივანი **ყურულიშვილი.**

ს. პ. კ. ს. კულტგანყოფ. გამგე **კილოსანიძე.**

კულტგანყოფ. კოლ. წევრი **შარიკიანი.**

# КУЛЬТОТДЕЛ.

## Положение о культотделе С. П. С. Г.

### Общия положения.

§ 1. Для об'единения и руководства всей культурно-просветительной работой среди организованной в союзы рабочей массы в районе Грузии при С. П. С. Г. организуется культотдел.

§ 2. В задачу культотдела входят:

а) Координирование и руководство общим направлением культурной союзной работы.

б) Выработка идеологического содержания культурной работы в соответствии с директивами высших органов.

в) Организация союзного представительства в органах наркомпроса.

г) Выработка заданий в области культурной работы профсекциям и представителям в наркомпросе.

д) Контроль за их деятельностью.

е) Работа в тех областях культурной деятельности, которые требуют централизации и имеют общепрофессиональное значение (рабочие факультеты, инструкторские курсы и т. п.).

§ 3. Работа культотдела ведется в следующих направлениях:

а) В области профессионально-технического образования рабочих.

б) В области общего образования рабочих и их семей.

в) В области подготовки профессиональных работников.

г) В области разработки и организации производственной пропаганды и агитации.

д) В области ознакомления широких рабочих масс с театральным искусством, музыкой, литературой и пр.

### Конструкция отдела.

§) 4. Для осуществления этих задач организуется коллегия культотдела из трех лиц, во главе с заведывающим, выдвигаемых президиумом С. П. С. Г.

§ 5. В соответствии с вышеизложенным направлением работ при культотделе С. П. С. Г. образуются следующие п/отделы:

а) профессионально-технического образования.

б) общего образования.

в) по подготовке профессиональных работников.

г) бюро производственной пропаганды.

д) Клубнс-библиотечный.

е) Экспедиция.

§ 6. При коллегии культотдела, для непосредственной связи с культотделами производственных союзов организуется пленум, в состав которого входят по 1 представителю от каждого производственного союза.

§ 7. Заседание пленума происходит периодически, но не реже 2-х раз в месяц.

*Примечание 1*: Состав пленума должен быть постоянный, а не переменный.

*Примечание 2*: В качестве постоянных членов в пленум входят представители заинтересованных учреждений, представительство коих устанавливается пленумом.

§ 9. Вся союзная культурная работа ведется по сметам союзов, утвержденным культотделом С. П. С. Г. и финансируется органами наркомпроса.

§ 10. Культотдел С. П. С. Г. представляет отчет президиуму С. П. С. Г. о произведенной им работе и планы дальнейших работ.

## О культотделах при профессиональных союзах Грузии.

1. Культурно-просветительная работа в союзе или его районных отделениях ведется культотделом, выделенными правлениями.

2. Во главе культотделов при союзе стоит заведующий, выделенный правлением союза, который согласно директивам культотдела С. П. С. Г. и постановлениям правления союза руководит всей культурной работой союза.

3. Культотдел при союзе ведет самостоятельно или через местные органы наркомпроса работу в следующих направлениях:

а) по профессионально-техническому образованию,

б) по общему образованию,

в) организации производственно-хозяйственной агитации и пропаганды.

г) по клубно-библиотечному,

д) по распространению газет и литературы.

4) Для практического и успешного проведения культурно-просветительной работы на местах (промыслах, заводах, фабриках и т. д.) при культотделе въ качестве совещательного органа организуется пленум отдела, в состав которого входят по одному представителю от каждой заводской, фабричной и др. культурно просветительной комиссии.

5. Заседания пленума происходят периодически, не реже одного раза в месяц.

6. Состав пленума должен быть постоянный, а не переменный.

7. Для расширения работы в той или иной области культотделом могутъ быть образованы комиссии: профессионально-технического образования, содействия открытию и деятельности рабочих факультетов, по ликвидации безграмотности, производственной пропаганды и агитации, библиотечная, клубная, театральная и др.

*Примечание*: В состав комиссий могут войти не только члены пленума союза или его отделений, но путем кооптации, лица сведущие и желающие работать в той или иной отрасли.

8. В целях об'единения культурной работы союза созываются, по мере надобности, совещания с представителями различных организаций, както: органов наркомпроса, культотдела С. П. С. Г., партийной организации, школьных, библиотечн. и клубных советов, союзов коммунистической молодежи, отдела работниц и пр.

9. Культотдел вводит своего представителя в пленум культотдела С. П. С. Г., через которого проводит все свои сметы, программы работ в наркомпросе.

10. Постановления наркомпроса и его органов являются обязательными для культотдела, если они не противоречат постановлениям культотдела С. П. С. Г. В случае возникновения недоразумений, вопрос передается на разрешение культотдела С. П. С. Г. и соответствующего отдела наркомпроса.

11. Вся культурная работа финансируется и ведется наркомпросом по сметам культотдела союза через культотдел С. П. С. Г.

12. Культотделы отчитываются перед наркомпросом в израсходованных суммах, копии отчетов посылаются для культотдела С. П. С. Г.

13. По истечении каждых 2 х недель культотдел союза посылает культотделу С. П. С. Г. отчет о произведенной ими работе и план дальнейших работ.

Секретарь С. П. С. Г. **КУРУЛИШВИЛИ.**

Завед. культотделом С. П. С. Г. **КИЛОСАНИДЗЕ.**

Член коллегии Культотдела **ШАРИКИАН.**